

572
1951

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

დილა

თარგმანი: თარგმანი
აღსანი, ქართული მწერალი
და ბუნებრივი სწავლის
სამსახურის კანდიდატი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მკირეწლოვანთათვის



№ 12

დეკემბერი

1951



იოსებ ყონაშვილი

ნახატი ვ. ტორატაძისა

კრემლის ზარების გუგუნით
მოვდივარ, მოვეჩქარები:
გამიღეთ სახლის კარები,
გამიღეთ გულის კარები!

ვარსკვლავთა ეტლით მოეჩქივარ,
გზა მელის სავეე დიდებით:
ცა რამდენ ფიფქსაც ჩამოჰყურის,
იმდენ სიხარულს გაირდებით.

სულ „ხუთიანებს“ გაირდებით,
სულ გაზრდა-გახარებასა,
დედმამის ბედნიერებას,
სამშობლოს აყევებებას.

მოვდივარ, გზას ვერ მიღობავს
ჯანლი და უამინდობა,
მომაქვს ხევი და ბარაქა,
სიხარული და მშვიდობა.

მშვიდობის მტრებს და ორგულეებს
მოვსაზობ და გავატიალებ,
ჩემს ხელში ცამდე გაშლილი
სტალინის დროშა ფრიალებს.

კრემლის ზარების გუგუნით
მოვდივარ, მოვეჩქარები:
გამიღეთ სახლის კარები,
გამიღეთ გულის კარები!

4927



გრიგოლ აბაშიძე

ნახატი რ. სტურუასი

მოგილოცავ.

სამთარიან, მთა და ბარს
ფარავს თოვლის ზეწარი.
— მოგილოცავთ ახალ წელს,
მრავალ წელს დაესწართ!

კარს უვლიან ნაძვის სეს
ნანაც, კვიცა, ილოცა,
— გამარჯვება, დაიკო,
ქინც ახალ წელს კილოცავ!

ეს რამდენი ბაჟუცია,
რამდენს კიდევ ელიან.
— მოგილოცავ, ბიჭუნავ,
დღეს ახალი წელი.

იუას უფრო დიადი,
ბედნიერი ეს წელი,
კუთხედებს მთა სტალინი
დიდხანს, დიდხანს დღეგრძელა!



ს ა მ გ ო რ ი

ნახატები ი. კალაძისა

— მოდის, მოდის, წყალი მოდის!—
წამოიძახეს წითელყელსახვევიანმა ბი-
ჭებმა და გოგონებმა და მახარობლებად
გაეშურნენ არხის ბოლოსაკენ.

პატარების ხმა მთელ არემარეს მოედო.
ამოძრავდა დაბლობზე და მთებზე უამ-
რავი ხალხი, დასძახეს სიმღერა, გაისმა
შეძახილები:

— იორი მოდის, ვაშა!...

ამდენი ხალხი და ასეთი ზეიმი, რო-
გორც ოთხ ნოემბერს იყო, ხომ არასო-
დეს ყოფილა ამ მიდამოებში!

1900 წელს, დიდი სტალინის ხელმძღვა-
ნელობით, აქ, თბილისის მუშებმა პირველ-
ძაისობა გამართეს. აქ წარმოთქვა დიდმა
ბელადმა მგზნებარე სიტყვა, მაშინ ვინ
იფიქრებდა, რომ ამ ჩაღრმავებულ ადგი-
ლას თბილისის წყალსაცავი იქნებოდა.
წყლსაცავიდან მოიარწყვება სამგორის გა-
მომშრალი ველები და ხრიოკი მიდამო
ბაღნარად გადაიქცევა.

* * *

მიჭკრიან მანქანები სამგორისაკენ. ყვე-
ლას უნდა ამ დიდ სახალხო ზეიმს დაე-
სწროს. ხალხით აივსო ის არემარე, სა-
დაც იორმა ზღვა უნდა შექმნას. აუარე-
ბელი ხალხი მოეშურება თბილისიდან,
მოდიან სოფლებიდან კოლმეურნეები,
მოუხარიათ პატარებს, არხისაკენ ისწრა-
ფვიან.

და აი, დღის ორ საათზე, რადიომ ხალხს
იორის მოახლოვება შეატყობინა:

— მოდის, იორი მოდის!

ყველა მოუთმენლად გაჰყურებდა იმ

ლამაზ და მკვიდრ ნაგებობას, საიდანაც
უნდა გამოჩენილიყო მდინარე.

— საიდან, ან როგორ მოიყვანენ აქამ-
დე იორს?—იკითხა გოგონამ.

— სათავიდან; გუშინ, საღამოხანს არ-
ხში გამოუშვეს იგი. მთელ ღამეს მოდი-
ოდა. შევიდა იორი გვირაბით პირველ
მთაში, მხიარულად გამოძვრა იქიდან და
ახლა მეორე გვირაბი დახვდა. შეიღი მთა
გამოიარა; სიმღერით და ჩირაღდებით
ხელში ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ მშენე-
ბლები: პალიდოელი, ხაშმელი, საცხე-
ნისელი და სხვა სოფლების კოლმეურ-
ნეები. გვირაბების გავლის შემდეგ დახ-
ვდა წყლის გადმოსავლები „დაკიდებული“
არხი, რომელსაც სწრაფდენი ეწოდება.
სწრაფდენიდან ჩანჩქერივით გადმოეშვა
დაბლა და გზა ისევ არხში განაგრძო.
ახლა სადაცაა მოახლოვდება. — უპასუხა
მამამ.


* * *

აი, გამოჩნდა იორი, იგი მიუახლოვდა
ობელისკებიან წყალჩასაშვებს. იორის
პირველი ტალღები სწრაფად დაეშვა
ზღვის ფსკერზე.

— ვაშა!

— რა ლამაზად მოდის!

პიონერები ყვავილების თაიგულებს
ესვრიან პირველ ტალღებს და სურთ
ყველაზე პირველად შეეხონ ახალმო-
ვარდნილ იორს. სიხარულისაგან ქუდებს
მადლა ისვრიან, აღტაცებული ბავშვები
არ ერიდებიან დასველებას და არხენიან-
დატყაპუნობენ იორის ტალღებში.



მოიხრიალებს იორი და გზას მიი-
კვლევს, წინ მიისწრაფვის.
დიდებისა და პატარების სიხარულს სა-
ღვარი არა აქვს.

* * *

პატარები ოცნებობენ, რომ როცა გაიზ-
რდებიან, იტყვიან: ამ ზღვის ფსკერზე
ნამყოფი ვართ, ჩვენც დავესწარით დიდ
სახალხო ზეიმსო.

პატარები ოცნებობენ და თვალწინ
ესახეზათ, თუ სულ მალე როგორ მოვ-
ლენ აქ სათევზაოდ, ნავებით სასვირნოდ,
დასასვენებლად.

აი, აქ, სადაც ახლა მზისაგან გადამწუვარი
გორაკებია, მშვენიერი ბალნარი იქნება.
ხშირად ვივლით აქ, ჩვენი თვალით ვნა-
ხავთ მორწყულ ველებს, ვენახებითა და
ყანებით მოფენილ არემარეს.

სიცოცხლე დაიწყო სამგორის ველებზე. შრომამ დაამარცხა გვაღვა და ხრიკი ველების უსარგებლობა.—ფიქრობს ხალხი და მხიარულად შესტკერის ზღვის ფსკერზე სწრაფად მიმავალ იორის ტალღებს.

უცბად ხალხი ამოძრავდა, ყველა წინ მიიწევს,—ლამაზად მორთულ ტრიბუნისაკენ. აგერ, დიდი ბელადის პორტრეტი ღიმილით გადმოსტკერის ხალხს; დიახ, ამ ადამიანმა მოუტანა ქართველ ხალხს ეს ზეიმი და ბედნიერება. სამამულა ომის შემდგომ ხუთწოდში, ბრძენი ბელადის პირადი მითითებით იქნა შეტანილი სამგორის ველზე სარწყავი სისტემის მშენებლობა.

სამგორის ზემომაგისტრალური არხის გახსნის და თბილისის წყალსაცავში წყლის მიღების აღსანიშნავი მიტინგი იხსნება. ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის წევრები, სამგორის მშენებლები და ყველა დარგის სახელო

ვანი ადამიანები. ისინი ამ დიდი დღესასწაულის შესახებ ლაპარაკობენ ტრიბუნიდან.


საქართველოს მშრომელმა ხალხმა განახორციელა ეს დიადი საქმე, ამიტომ უწოდებენ მას სახალხო მშენებლობას. სამგორის სარწყავი სისტემა ხალხთა დიდი ბელადის სტალინის სახელს ატარებს.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მრავალგვარი სანახაობა გაიმართა:

ტრიად მინდორზე ცხენოსნები ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩოგანბურთში. მოშორებით მომღერალთა გუნდის სიმღერა ისმის. აგერ, თოჯინების თეატრიც აქ ყოფილა, ბავშვები გაფაციცებით შეჰყურებენ თოჯინების წარმოდგენას. იქ ცეკვა-თამაშია გაჩაღებული...

იორი კი მოედინება და თანდათან ჰუარავს ზღვის ფსკერს.

სალამოს დაიძრა ათასობით მანქანა თბლისისაკენ, სოფლებისაკენ და თვალეზგაბრწყინებული პატარები გახარებული დაბრუნდნენ შინ.





ილია სინარულიძე

ჩვენი ნაძვის ხე

ნახატი ალ. ვეფხვაიასა

ზეიმია ჩვენს ჭკუფში,
დგება წელი ახალი!
მოგვიტანეს ნაძვის ხე
ჩვენზე უფრო მაღალი.

აი, ჩვენი ღამაზი,
მოკაზმული ნაძვის ხე!
მისმა მწვანე ტოტებმა
რამდენი რამ დაისხეს:

ბზრიალები, ბურთები
და ფერადი ბუმბუცი,
ჩიტუნები, ციყვიები,
დათუნები, კურღლეები...

თითქოს თოვს, და ნაძვის ხეს
თითქოს ფარავს ფიფქები:
ტოტებს თბილად ედგება
ბამბის თეთრი ფთიდეები.

თოჭინებმა ნაძვის ქვეშ
თოვლობა გამართეს,
თოვლის პაპა კეთილი
გაახარეს, გაართეს.

თოვლის პაპა უხვია,
ჩვენთვის რა არ ექნება:
ვის—ჩურჩხელა, ვის—ვაშლი,
ვის კამფეტი შეხედება.

აგერ, სუფრაც გაგვიწყვეს,
ყველა ერთად დაესხედით,
ხიდეული მოგვართვის,
ტკბილეული, ნამცხვრები.

ზეიმია ჩვენს ჭკუფში, —
მღერა, სიცილ-ხარხარი,
ეხარობთ, ვიღხეთ ყველანი,
დგება წელი ახალი!



არკადი გაიდარი

ნახატი გრ. ჩიჩინაშვილისა

ბავშვების დიდი მოახზვე

ათი წლის წინათ, 1941 წლის 26 ოქტომბერს, ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა საბჭოთა ბავშვების საყვარელი მწერალი არკადი გაიდარი.

არკადი გაიდარმა მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიცოცხლე საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის საქმეს მოახზარა. ბევრი საინტერესო და საყვარელი წიგნი დაუტოვა ჩვენი ქვეყნის ნორჩ თაობას. საყოველთაოდ ცნობილია მისი შესანიშნავი მოთხრობა „თემური და მისი რაზმი“, რომელიც ქართულ ენაზე მრავალჯერ გამოიცა. ვაოცებით და ხალხით ეცნობიან ბავშვები ყოჩაღსა და მკვირცხი ბიჭუნებს — ჩუქსა და გეკს, უთანაგრძობენ მარუსიას, და ვატაცებით აღფენენ თვალ-ყურს ალკას თავგადასავალს. საბჭოთა ბავშვები კარგად იცნო-

ბენ არკადი გაიდარის წიგნებს და მათ სიყვარულით კითხულობენ. ეს წიგნები საშობლოსადმი ერთგულებასა და მშრომელი ხალხის სიყვარულს გვინერგავენ გულში.

არკადი გაიდარი ბავშვთა გულის მესაიდუმლე იყო. იგი კარგად იცნობდა მათ ბედნიერ ცხოვრებას. ასწავლიდა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი მეგობრობა, როგორ უნდა სწავლობდეს და შრომობდეს საბჭოთა ბავშვი, რომ შემდეგ იგი კომუნიზმის საუკეთესო მშენებელი გახდეს.

არკადი გაიდარს დიდი მეგობრობა ჰქონდა საბჭოთა ბავშვებთან და მათ ასე არიგებდა: „პატროსნად უნდა იცხოვრო, ბევრი უნდა იმუშაო და ძლიერ გიყვარდეს და დაიცვა ეს ვეებერთელა, ბედნიერი მიწა, რომელსაც საბჭოთა ქვეყანას უწოდებენ...“



არქაილი შანიძარი

ჩახატები შ. ცხადაძისა

მარუსია

ჯაშუშმა ქაობი გადალახა, ჩაიცვა წითელარმიელის ტანსაცმელი და გზაზე გავიდა.

გოგონა ქვევის ყანაში ღიღილოებს სკრეფდა. იგი მივიდა და თაიგულის ღეროების შემოსასწორებლად დანა სთხოვა გზად მიმავალს.

ჯაშუშმა მას დანა მისცა და ჰკითხა: რა გქვიაო. ჯაშუშს გაეგონა, რომ საბჭოთა ქვეყანაში ხალხს მზიარული ცხოვრება აქვს: ამიტომ დაიწყო სიცილი და მზიარული სიმღერაც შემოსახა.

— განა შენ შე არ მიცნობ?! — გაკვირვებით ჰკითხა გოგონამ, — მე მარუსია ვარ, ლეიტენანტ ეგოროვის ქალიშვილი. ამ თაიგულს მამას მივეტან...

მან მოკრძალებით შეასწორა ყვავილები და თვალბუბუცე ცრემლი მოადგა.

ჯაშუშმა დანა ჯიბეში ჩაიღო და ხმა-ამოუღებლად განაგრძო გზა.

საგუშავგოზე მარუსიამ ასე უამბო:

— მე წითელარმიელი შემხვდა. ჩემი სახელი ვუთხარი, და, საკვირველია, ის მაინც იცინოდა და მღეროდა.

მეთაური მოიღუშა, დაუძახა მორიგეს და გაგზავნა წითელარმიელები „მზიარული“ კაცის დასაწყევად.

მხედრები გაემუზნენ, მარუსია კი მივიდა მდინარის ციკაბო ნაპირთან და თაიგული მამის საფლავზე დასდო. საფლავი ახალი იყო, მარუსიას მამა წინა-დღით სასახლერო მიმოსროლაში მოეცალათ.



დაგვიზამთრდა, დაგვიზამთრდა!



• შენე ზეზღუბენ, ფრთხილად ზეზღუბენ,—
სეებს ირგვლივ ვეღუბენ,
ეს თოვლია, თოვლი მოდის,
კანა მართლად ზეზღუბია!
ეს ზამთარი მოხრმანდება
თეთრწვერა და თმაჭვლირა,
კუნდი, ციკამ,
თოვლის კაცმა
ვევლამ ერთად კამახრა.

პირველი პაპიძე




დაგვიზამთრდა, დაგვიზამთრდა,
სიფრიფანა ფიფქი ცეცხა;
მოკუნდავე პალღუბენ ბაღში
ბფრთვაცი უმწერს,—სცივა.
აგონდება სიფხწვილე,
თან ცელქებსე რსება თვალი,
და შენატრის: ვა, შეშეღოს
თქვენთან სტენვა, კოტრადლი!

მირაზი კახიანი

• უხარით გოგო-მიწებს,
თოვლის ზაზა მოახიჯებს;
თერთ ბოხონით, ხელმა ვოხით
შეშალღებს ესთ კარებს,
ჯოხს დაიბუნს, გაიღიშებს
და ზატარებს გაახარებს.

მლი სინაგლიძე

220



• ზამთარია, და ბეშეები
გამოსულა ვეღლა გარეთ,
რა თოვლია! ჭერი, ბიჭო,
ცელქეთ და გიხარეთ!
რა კარგია გუნდაობა,
ახმაურდა ვეღლა ბეშევი,
ბიჭოს! თოვლის ერთი ტუნდა
თეთი შურასაც მისედა თავში.

მ. მამიანი

• თოვს და ბარდნის, თოვს და ბარდნის,
აუფხია ნაშქერს ცხეში.
ამ თოვამი სკოლისსეენ
იქიარან მალხაზები.
ნუგუბივით წინ მისტიან,
სან ერთმანეთს სევერ მელავეს,
და ვივთვით ბელურები
დასცქერიან მთ ნავეღლეს.

მირაზი კახიანი

• რა კარგი თოვლი მოსულა,
გათოვრეულა მთა-ველი,
უნაზარდობთ, ვიღურით, ვიცინით.
ბევერი გევექს გასახარული,
რა კარგია თოვლი მოსულა,
ციკები, ხა, ციკები!
თოვლის ბაბუა გელოღებს,
კომამობთ და არ ვიღღებთ.

პლემი მამიანი





დ. შალვაშვილი

თამრიკოს სიხარული ნახატები ვრ. ჩირინაშვილისა

თამრიკო მხიარულმა ფუსფუსმა გამო-
აღვიძა. წამოიწია, საწოლის ბადეს ხელე-
ბი ჩასქიდა და ოთახს თვალი მოავლო.
გარეთ, სახლის-სახურაებზე თოვლი
ქათქათებდა, სინათლემ გოგონას თვალი
მოსჭრა, კიდევ მიიხედ-მოიხედა და ღია
კარებში გასძახა:

— დედა!

— ახალი წელი მომილოცავს, ჩემო
გოგონა! გაიხარდე დიდი გოგო, ქკვია-
ნი, ხუთოსანი!— მიულოცა შემოსულმა
დედამ და გოგონა გულში ჩაიკრა.

— ახალი წელი! — ტაში შემოჭკრა თამ-
რიკო, — ახალი წელია? მაგრამ ნაძვის ხე,
თოვლის პაპა, სად არიან?

— აქ არიან, შენი ქირიმე, აქ! — უთხ-
რა დედამ თამრიკოს და საჩქაროდ ტანთ
ჩააცვა. გოგონას კი მოთმინება აღარ
ჰყოფნიდა, ხტუნავდა, მღეროდა.

— ნაძვის ხე! ნაძვის ხე! — ასკინკილას
უფლიდა თამრიკო და ისე სკუპ-სკუპით
გავიდა მეორე ოთახში.

— დახეთ, თოვლის პაპას, ეს რამდენი
რამ მოუტანია თამრიკოსათვის!? — ტიტტი-

ნებდა გოგონა და მოკაზმულ ნაძვის ხეს
გარს უვლიდა, მერე ნაძვის ხის ძირას,
თბილად ჩაცმულ თოვლის პაპას მიუ-
ღერსა.

ამ დროს მამაც მოვიდა, თამრიკოს ღა-
მაზი, წითელი კვიცი მოუტანა.

მაგრამ თამრიკოს ყველაზე ძლიერ ის
გაეხარდა, რომ მამამ ჯიბიდან მოსაწვევი
ბარათი ამოიღო: ლურჯ ქაღალდზე ღა-
მაზად მორთული ნაძვის ხე ეხატა, თოვ-
ლის პაპა თამრიკოს პიონერთა სასახლე-
ში ევატიყებოდა; პაწია ბაჭიას კი საათი
ეჭირა ხელში, ეს აღბათ იმ დროს აჩე-
ნებდა, როცა გოგონა დიდ სასახლეში
უნდა წასულიყო.

ის ბედნიერი საათიც დადგა. თამრი-
კოს თბილად ჩააცევს და კრიჭინა თოვ-
ლით დაფარულ ქუჩაზე გავიდნენ.

პიონერთა სასახლის დიდი კარები
აღერსით გაულა კარისკაცმა. თამრიკოს
ბილეთი გაუსინჯეს, პალტო გახადეს და
თამრიკო და დედა მარმარილოს დიდ
კიბეებზე ავიდნენ. კიბის თავში თოვდა,
პაწია სახლიც, რომლის ფანჯრებიდან

სინათლე გამოკრთოდა, თოვლით იყო დაფარული; ზემოთ ფერად-ფერადი ქალღმერთები ფრიალებდნენ. კიდევ უფრო ზევით, მეორე სართულზე დიდი ქანდაკება ნახეს: ძია ლენინი და სტალინი სავარძელში ჩამსხდარნი საუბრობდნენ.

— აი, ძია ლენინი და ძია სტალინი! — უჩვენა თამრიკომ დედას.

თამრიკო დიდ დარბაზში შეიყვანეს და ახალი წელი მიულოცეს. ამ დიდ სარკეებიან დარბაზში იდგა ვეებერთელა ნაძვის ხე, კენწერო ჭერზე მიებჯინა, ზედ წითელი ვარსკვლავი ბრჭყვიალებდა. ყოველი მხრიდან დარაჯებივით იდგნენ თოვლის პაპები, ნამდილი, ლამაზად ჩაცმული თოვლის პაპა კი ნაძვის ხეს გარს უვლიდა, დიდ ჯოხს იატაკზე ამრახუნებდა და ბავშვებს თავისაკენ უძახდა:

ვინც ბევრ ლექსებს იტყვის, ის ყველაზე ბევრ საჩუქრებს მიიღებსო.

პირველი, ვინც კი წრეში გადასვლა გაბედა, ეს თამრიკო იყო. დიდი ლექსი თქვა გოგონამ. საოცარი ის იყო, რომ ლექსის თქმის დროს თამრიკოს, ვიღაც ძიამ რკინის მილზე დამაგრებული კოლოფი დაუდგა წინ, მერე კი, როდესაც თამრიკომ ლექსი დაამთავრა, მიეაღერსა და მადლობა გადაუხადა.


ცოტა ხნის შემდეგ, საჩუქრების ცისფერი პარკით ხელში, პატარა თამრიკო ხტუნაობით მიდიოდა შინისაკენ. საღამოს შვიდ საათზე კი რადიომიმღებს მთელი ოჯახი ყურადღებით მიუსხდა.

რადიო ახმაურდა, უცბად ნაცნობი ხმები მოესმა თამრიკოს და გაიტრუნა, მერე თითო ტუჩებთან მიიტანა და ეშმაკურად გაუღიმა დედას.

— ვინ ლაპარაკობს, თამრიკო? — შეეკითხა თამრიკოს მამა.

— მგონი მე, მაგრამ მე ხომ აქა ვარ, იქიდან როგორღა ვლაპარაკობ? ახლა ხომ ლექსსაც არ ვამბობ... არა, ალბათ მე არა ვარ. — ხელი ჩაიქნია თამრიკომ და სათამაშოდ გაქცევა დააპირა; მაგრამ მამამ შეაჩერა და აუხსნა, რომ დღეს პიონერთა სასახლეში ბავშვები ლექსებს რომ ამბობდნენ, მათი ხმა ფირფიტაზე ჩაწერეს, და აი, ახლა რადიოთი მთელ ქვეყანას მოასმენინეს.

— მაშ, მართლა თამრიკოა? — ეშმაკურად იკითხა თამრიკომ, კიდევ უნდოდა საკუთარი ხმის მოსმენა, მაგრამ რადიოში ახლა უკვე სხვა ბავშვები ტიტინებდნენ.



დედა ლულუნას ნაძვის ხმთან

— თოვს, თოვს, ხოშკაკლავს! — ახარა დედა ბელურამ მაღალი სახლის კერქვეშ მიწინარე შვილებს და ნისკარტები სათითაოდ დაუკოცნა.

— რა თეთრი ყოფილა თოვლი! — შესძახა კიკიკიამ.

— რა ცივი ყოფილა თოვლი! — თქვა კულრაქამ.

— რად მინდა, იქმევა, თუ ისმევა? — წამოიძახა ბუზლუნამ და აბუზლუნდა: მშია, მშიაო!

— ახლავე გაქმევე, გეთაყვა, — დაუყვავა დედამ და აბლაბულაზე დაბრძანებულ ობობას სთხოვა:

— თუ ქალი ხარ, ბუზლუნასათვის ერთი ბუზი მასესხე!

— ზამთრის სარჩოზე ზაფხულში უნდა იზრუნოთ! — ჩაიბუტბუტა ობობამ, მაგრამ მაინც არ გააწბილა და აბუზი გაუწოდა.

ბელურამ ბუზი ბუზლუნას მიუტანა.

ბუზლუნამ ბუზს ნისკარტი დაჰკრა და აბუზლუნდა:

— ბუზი კი არა, ბუზის ჩენჩია! კარგი რომ ყოფილიყო, განა ჩემთვის გაიმეტებდა?

— ჩუ, ჩუ შვილო, არ გაიგონოს, სირცხვილია, — დააშოშმინა ბელურამ შვილი,



ობობას ხმაძალა გასძახა: ბუზლუნა მაღლობას მოგახსენებსო, და შვილები გარეთ გააფრინა.

— რა ლამაზი ფიფქებია, ტყემლის და ვაშლის ყვავილებს ჰგვანან! — შესძახა აღტაცებულმა კიკიკიამ და ახალ თოვლზე გაითამაშა.

— დედა ლულუნა, თქვენი ფერის ყოფილა თოვლი! — უთხრა კულრაქამ სახლის სახურავზე დამჯდარ ლამაზ მტრედს.

ბუზლუნამ კი აინუნშიც არ ჩააგდო თოვლის სიმშვენიერე: მიწაზე დაცვენილ ნამცვეცებს ვიპოვიდი, ამ თოვლს რომ არ დაეფარაო, — ბუზლუნებდა ის.

— მომყევით, აქ პურადი და გულითადი მეგობარი მყავს! — უთხრა ბელურებს თეთრმა მტრედმა და ერთი სახლის ფანჯარასთან მიფრინდა.

— ტა-ტუკ, ტა-ტუკ! — დააკაუნა მინაზე და აღულუნდა.

ფანჯარა გაიღო, წითელყელსახვევიანმა გოგონამ რაფაზე პურის მარცვალი დაჰყარა და წკრილა ხმით დიძახა:

— კენკეთ, კენკეთ, ჩიტუნებო!

დედა ლულუნამ გოგონას მაღლობა მოახსენა და კენკვას შეუღდა.



ბელურებმა კი, როცა ფანჯარა მიიკეტა, მხოლოდ მაშინ გაბედეს რაფაზე დაფრენა.

ყველაზე სწრაფად ბუზღუნა ჰყენებდა, ყველაზე ადრე გაძღა, მერე ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა, ოთახში შეიჭვრიტა და ისეთი ჭვილ-ხვილი ატეხა, რომ ყველა მასთან მიფრინდა.

— რა მოგივიდა, შვილო! — მიაძახა დედამ.

— ნაძვის ხე, გაბრწყინებული ნაძვის ხე! — უპასუხა აღტაცებულმა ბუზღუნამ.

— დახე, ნაძვის ხეზე თეთრი მტრედია! — ჩაიჭიკჭიკა კუდრაქამ.

— ნუში! თხილი! ოქროს კაკლები! ფორთოხლები! ვარსკვლავი, უშ, რა ბრჭყეილა ვარსკვლავია ნაძვზე! — გაიძახოდნენ აღტაცებული ბელურები და ნაძვის მორთულობას აქებდნენ.

— დღეს ახალი წელია და ნაძვის ხე ამიტომ მორთეს! — აუსხსნა ბელურებს დეიდა ღულუნამ.

ამ დროს ოთახიდან ბავშვების სიმღერა მოისმა, სიმღერას ცეკვა-თამაში და ლექსები მოჰყვა.

აღტაცებული ჩიტები ფანჯარას არ მოსცილდებოდნენ, რომ უცებ ბუზღუნა არ ამტყდარიყო: მეც მინდა ასეთი ნაძვის ხეო, — თოვლზე წამოგორდა და კოტრიალი დაიწყო.

— აღეჭი, აღეჭი, გაცოვდები! — დატუქსა დედამ.

— ნაძვის ხე მინდაა! — გააბა ბუზღუნამ ტირილი და სანამ დედა არ შეშპირდა: ნაძვის ხეს მოგირთავო, — ხეზე არ ადგა.

— რაღა ექნა, რა წყალში გადავვარდე, როგორ მოვაწყუო ნაძვის ხის ზემი? — ჩასჩურჩულა დედა ბელურამ დეიდა ღულუნას.

დატრიალდა დეიდა ღულუნა, ბელურებს ტყისაკენ გაუძღვა და სხვა ფრთოსნები და ცხოველებიც დაჰპატიჟა.

მაღე, ერთ ღამეზე ნაძვთან სტუმრების ჭრიამული გაისმა. კუდღუმბულა ციყვიც მობრძანდა და შეკრებილებს ნუში, თხილი და ხმელი სოკო ჩამოურიგა.

— გამდლობთ, გამდლობთ, ციყვო! — შესძახა ბაქიამ. ბუზღუნა კი თავის ულუფაზე აბუზღუნდა: აბა, ეს რას მიეყოფა, და საჩუქარს არ მიეკარა.

სწორედ ამ დროს ჩხავილით მოფრინდა ყვანჩალა და ბუზღუნას ულუფა გადაუკლავა.

— აი, შე მსუნავო! — შესძახა ყვანჩალას კურდღელმა.



წუწკ ყვანჩალას ზემიდან გაძებება დაუპირეს, მაგრამ ყვანჩალამ ისე საბრალოდ დაიჩხვლა: მაპატიეთ, მეტს აღარ ვიხამო, — რომ შეიბრაღეს და აპატიეს.

ციყვმა ნაძვის ხიდან ტრატებზე სოკოები, ტყის ხილი და თხილი ჩამოჰკიდა და სტუმრებს ჩამოსძახა: ამ საჩუქრებს ზემის შემდეგ დაგირიგებთო.

— მე ახლავე მინდა მაქამოს, ახლავე! — გაპირვეულდა ბუზღუნა, მაგრამ დედა ბელურა დაემუქრა, რომ თუ არ გაჩუმიდებოდა, სახლში წაიყვანდა.

— აბა, რატომ ბაქია არ პირვეულობს? — უთხრა დედა ბელურამ.

— ეგ ვინ არის, სულ რომ ბუზღუნებს? — იკითხეს სტუმრებმა.

— აღარ ვიბუზღუნებ, აღარ!—ჩუმად ჩასჩურჩულა დედას ბუზღუნამ.

ამ დროს ნაძვის ძირას გრძელულვამა კურდღელმაც მიირბინა, სტუმრებს მიესალმა და ციყვს ასძახა: თუ ქალი ხარ, ეს ბოსტნეულიც დაჰკიდე ხეზეო, და ხურჯინი მიაწოდა.

— რა ლამაზია, რა მშვენიერი ნაძვის ხეა!—ამბობდნენ სტუმრები.

ყველაფერი რიგზე იყო, როდესაც ბელურების ხმა გაისმა: რად არ ბრწყინავს ეს ნაძვის ხეო!

— ნაძვის ხეს ახლავე ავანთებთ!— უთხრა გვრიტმა ბელურებს, ჩიტებიც ტყეში შეიხმო და მთვარესავით განათებულ დამბალ კუნძთან მიიყვანა.

ამ კუნძის ნატეხები ნისკარტებით მიიტანეს, ტოტებზე ჩამოჰკიდეს და ნაძვის ხე გაანათეს.

— რა კარგია!—შესძახეს ჩიტებმა და ცალ ფეხზე დაიწყეს ხტომა.

ყველამ ფერხული ჩააბა.

ახლა კი ნამდვილი ნაძვის ხის ზეიმი გაიძრათა: აგალობდნენ ჩიტები, დათვამა ბაჯბაჯით დავლური დაუარა.

მელაკულამ ბუქნით იცეკვა, თხუნელამ ლექსი წარმოსთქვა, ბაქიამაც მარდი ხტომით თავი ისახელა.

ბოლოს დეიდა ლულუნა ნაძვის კენწეროზე დაფრინდა და აღულუნდა:

— მეგობრებო, მომილოცავს ახალი წელი, მრავალს დაესწარით, იმრავლეთ და იმზიარულეთ!

— შენის კარგად ყოფნით!— შესძახეს თეთრ მტრედს სტუმრებმა და საახალწლო ზეიმი დილამდე გააგრძელეს.



„განსწავლული“ ძაღლი

ჩხუში ზღაპარი

ერთ სოფელში იყო ერთი მდიდარი კაცი. არც წერა იცოდა, არც კითხვა. უქკუო იყო, მაგრამ ბაქია, და პირველ კაცად მოჰქონდა თავი. ვლახებს იგი არ უყვარდათ, რადგან ბორბოტი და ხარბი იყო. მოჯამაგირეებს მისგან სიცოცხლე ჰქონდათ გამწარებული, ძაღლები უკეთ ცხოვრობდნენ მის სახლში, ვიდრე ადამიანები.

იმ მდიდარს ადამიანებზე უფრო მეტად თავისი ძაღლები უყვარდა. განსაკუთრებით უყვარდა შავი ფინია აზორი და ყოველთვის იმას ამბობდა, რომ ასეთი ძაღლი არსად მოიპოვება, რომ ფინიას ყველაფერი ესმის, ოღონდ ლაპარაკი არ ეხერხებაო.

მდიდართან მოჯამაგირე მარტინი მუშაობდა. მას გამოქვდილი ჰქონდა ყურები პატრონის ბაქიაობით: ჩემი აზორკა ასეთი და ისეთიაო.

— იცი, მარტინ, — უთხრა ერთხელ მას პატრონმა, — ძაღლებისათვის რომ რაიმე სკოლა არსებობდეს, ჩემს აზორკას მივაბარებდი, უფრო ჰკვიანი გახდებოდა.

მარტინი გამჭრიახი კაცი იყო. ბევრი ტანჯვა ენახა პატრონისაგან, მაგრამ მოჯამაგირე ყველაფერს ითმენდა, რადგან მას ოთხი შვილი ჰყავდა, სხვა სამუშაოს კი სოფელში ვერ იშოვიდა. მობეზრდა მარტინს პატრონის ბაქიაობა და გადაწყვიტა: ერთი ამას ჰკუა უნდა ვასწავლოო.

— განა არ იცით, რომ ძაღლებს სკოლები დიდი ხანია რაც არსებობს? — უპასუხა მან.

— სისულელეს ნუ ზოდავ! — გაგულისდა პატრონი.

— ეს სისულელე არ გახლავთ, — უპასუხა მოჯამაგირემ. — ამას წინათ ერთმა მეტყვევმა მიამბო, რომ არსებობს ისეთი სკოლა, სადაც ჰკვიან ძაღლებს ლაპარაკსაც კი ასწავლიან.



— ბარაქალა! — გაეხარდა მდიდარს. — ხომ არ იცი, სად არის ის სკოლა?

— დიდი ტყის გადაღმა. იქამდის მგზავრობა ოცი კრონი დაჯდება.

— ოცი კრონი მე არ დამაქცევს, — თქვა მდიდარმა, — წაიყვანე იქ აზორკა. მე კიდევ ას კრონს მოგცემ, იქნებ საკირო გახდეს სწავლის ფულის ამწავითვე გადახდა.



„ღამაცა, — გაიფიქრა მარტინმა, — მე შენ გიჩვენებ სერის! საწყალი ადამიანისთვის ყურგაზხერეტილი გროში არ გემეტება, სისულელეზე კი მზად ხარ ამდენი ფული გადაიარო!“

მდიდარმა მისცა მარტინს ფული და პური, აზორკასთვის კი — დამაშუბლი ხორცი; წაიყვანა მოჯამაგირემ ძაღლი და წავიდა ტყეში თავის ნათლიმამა მეტყევესთან.

როცა მეტყევემ გაიგო, თუ რაში იყო საქმე, ძალიან ბევრი იცინა.

— დამიტოვე აზორკა, — უთხრა მან — აქ არაფერ მოდის, ვერც ერთი სულიერი ამის შესახებ ვერაფერს გაიგებს, შენს პატრონს კი ქკუა უნდა ვასწავლოთ.

მესამე დღეს მარტინი შინ დაბრუნდა, პატრონმა გამოჰკითხა აზორკას ამბავი.

— აფსუს, რომ იქ არ იყავით, ჩემო ბატონო, — უპასუხა მარტინმა, — როდესაც მივედიტ სკოლაში, აზორკა იმწამსვე მერხს მიუჯდა, თითქოს უკვე კლასში ნამყოფი ყოფილიყოს; მასწავლებელი სულ მის ქებაში იყო და გვარწმუნებს, რომ თქვენი ძაღლი ერთ წელიწადში დაასრულებს სკოლას. მე ამჯერად ასი კრონი გადავიხადე, ერთი წლის შემდეგ კიდევ ასი გადახდა იქნება საქირა.

— ამ საქმისათვის ხუთას კრონსაც არ დავიშურებ, — უპასუხა მდიდარმა. — მე ვაჩვენებ სოფელს, თუ რა ძაღლი მყავს. ყველა მოირბენს მის სანახავად.

ნახევარ წელიწადსაც არ გაუვლია, პატრონმა გაგზავნა მოჯამაგირე ძაღლის სანახავად. მარტინი წავიდა მეტყევესთან. მოეხმარა მას თივის აღებაში და მესამე დღეს შინ დაბრუნდა.

პატრონმა იმწამსვე მოიკითხა აზორკა — კარგადაა, ჩემო ბატონო, — უპასუხა მარტინმა, — ძაღლი შესანიშნავად სწავლობს, მასწავლებელი დარწმუნებით ამბობს, მალე იგი ლაპარაკს ისწავლისო.

წლის დასასრულს პატრონმა ისევ გაგზავნა მარტინი ძაღლების სკოლაში. მისცა ასი კრონი სწავლის ფულის შესატანად და ოცი კრონი სამგზავროდ. მოჯამაგირე წავიდა მეტყევესთან და მესამე დღეს დაბრუნდა.

— აზორი რაღა იქნა? — იკითხა პატრონმა.

— ბოლო მოეღო ჩვენს აზორკას, ჩემო ბატონო, მშვენივრად ისწავლა ლაპარაკი, მაგრამ უნდა მოგესმინათ, რა წუნკალ რამეებს ამბობდა. წაიგრძელა ენა და ილაპარაკა, რომ თქვენ ბაქია ხართ, რომ თქვენ მთელ სოფელს ყვლეფათ, რომ მამათქვენს ბოლო მოუღეთ და იმუქრებოდა მთელ სოფელს ვუამბობ, თუ რა შეილიც ბრძანდება ის ჩვენი პატრონიო. ამან ისე გამაბრაზა, რომ შევაბი კისერზე ქვა და მდინარეში გადავუძახე.

მდიდარს ელდა ეცა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ წამოიძახა:

— კარგად მოქცეულხარ, მარტინ! რა ფასი ექნებოდა ასეთ ძაღლს. იგი ხალხში თავს მოგვეჭრიდა.

იმ დღიდან მდიდარი აღარ ტრანახობდა თავისი ძაღლებით. მისი „სწავლული“ ძაღლი მეტყევესთან დარჩა, მაგრამ ლაპარაკი მაინც ვერ ისწავლა.

გადმოაქართულა

შალვა გვინჩიძემ

ნახატები შალვა ცხადაძისა



ს ა ლ ბ შ ი

მინერალური ზღაპარი

უფალწვედენ ევლეს ბილიან ჩამოდის დიდი მდინარე; მისი ნაპირი ლერწმებით არის დაფარული.

თუ მდინარეზე ქარი ქრის. მას წყალი წყრიალა ხმით უმღერის ხოლმე და კეთილზოვანი ლერწმაც ბანს აძღვეს.

დიდი ხნის წინათ, ერთ ახალგაზრდა მწყემსს ყოველ წელს მდინარეზე გადაჰყავდა თავისი ჯოჯო: ღერებები, ძროხები და აქლემები. ყოველ წელს მწყემსი დიდხანს ჩერდებოდა მდინარის პირას და ეურს უფლებდა ლერწმის მომთბლავ სიმღერას.

მწყემსი როცა ლერწმას მოკვებდა, შიგ ჩამოეჩაქა და ცდილობდა მის ამღერებას. მაგრამ უსაკაცლო ლერწმის სიმღერა გულის არ ახარებდა და იმედდაკარგული მწყემსი შორს გადასირდა ლერწმას.

ერთხელ გახანუხლებ, როცა დამუნარი თოვლი მიიდან ნაკადულებად დაეშვა და მდინარე აღიღდა, მწყემსი თავის ჯოჯს კვლავ მიერგებოდა მდინარის გაღმა. ჯოჯში ერთს თოვლივით თეთრ აქლემს თან მისდევდა პატარა კოხაკი.

ბოლოქარი და ახვრთებული იყო მდინარე. მისი მშენივრე ტალღები პატარა კოხაკს თავს ვადაველო და გაიტაცა. დედა აქლემი შესაბრალოსი ბღვილით გაეშურა შეილისკენ. მაგრამ გვიან იყო! ტალღებმა შუა მდინარეში ჩაითრიეს პატარა კოხაკი. რომელიც მალე წყალში ჩაიძირა.

დედა აქლემს ვულვი ეტკინა და უმწუროდ დაიძღვლია...

მწყემსის თითებში გამოკაცლებული ლერწმის ნაღვლიანი, წყრიალა ხმით გაეხმაურა დედა აქლემის ბღვილს.

აჲ სიმღერას უსმენდა ქარი და მდინარე, გულმოდგინედ უსმენდა უბედური დედაც, სალამურის სიმღერამ მას დარდი დააეწევა...

ასე წარმოიშვა ლერწმის სალამური, რომელსაც მონღოლურად კოჩი ჰქვია. იგი საუკუნეების განმავლობაში უმღეროდა ხალხის მწუხარებას.

ეს იყო დიდი ხნის წინათ. დღეს მონღოლეთის მინდორ-ველებში ახალი სიმღერები გაისმის და ძველთა-ძველი სალამური სიხარულს უმღერის.—სიხარულს, რომელმაც მწუხარება დაამარცხა.

გადმოაქართულა ვ. ლაფერაშვილმა

ასკინბილა

ამ თამაშობაში მონაწილეობს ოცამდე მოთამაშე,—გოგონები და ვაჟები. მონაწილენი შემოხაზავენ ათამდე ნაბიჯის სიგანის წრეს; ამის შემდეგ იყოფიან ორ ჯგუფად და ჰყრიან კენჭს.

კენჭისყრის შემდეგ ერთ-ერთი ჯგუფი წრეში ჩაღებება.

მოწინააღმდეგე ჯგუფის რომელიმე მოთამაშე წრეში შედის ასკინცილით და დასდევს წრეში ჩამდგარ მოთამაშეებს; ვისაც ხელს დაჰკრავს,—ის „ჩაქრილია“. წრეში ვინც არიან, მათ უფლება არა

აქვთ წრიდან გასვლისა,—თორემ ჩაქრილებად ჩაითვლებიან.

თუ წრეში ასკინცილით შესულმა მოთამაშემ მეორე ფეხი დააკარა მიწას, მაშინ თვითონ ითვლება ჩაქრილად და მის მაგიერ წრეში შედის მისი ჯგუფის სხვა მოთამაშე.

ჩაქრილები თამაშიდან გადაიან. რომელი ჯგუფის მოთამაშეებიც უფრო ადრე ჩაიჭრებიან, ის ჯგუფი დამარცხებულია. შემდეგ წრეში ჩაღებებიან დამარცხებულები.

ზაქარია შერაზაღიშვილი



14/83.



მეორემი კაჭახიძე

ნახატი გ. ფოცხიშვილისა

გაგსბლისხდით, გავისარყით

თოვს საამოდ, სულ გათერთდა
ვარდის ბუჩქი ღობის ძირას,
მუხაც თოვლით შეიბუმბლა
და ფეხზე მდგომს ტკბილად სძინავს.

ჩვენ კი დავბტით,—მხიარულად
შევეგებეთ წელსაც ზამთარს.
არემართით მონხაღლულონი
კობტად შეკრულ ცივას ვმართავთ.

სწრაფი არის ჩვენი ცოგა,
თოვლთან ერთად ზამთარს მოჰყევა,

მისრიალებს, მიგეკაროლებს,
შეგეწითლა ყინვამ ლოყა.

ერთა შეისხა, გაგეიტაცა
სარკედ ქცეულ ფართო გზაზე;
მისრიალებს, და თამაშით
ყაყაჩოებს დავემსგავსეთ.

დაღმა ცივის ფრთებით მიეკრით,—
აღმა გვიკირს დაბრუნება;
ჩვენი ღებნა-ყრიაშულით
ხარობს კაცი და ბუნება.

ყდის მხატვრობა გვეთუნის აღ. გიგოლაშვილს

სასუბისმგებელი რედაქტორი რევაზ მარჯიანი. სარედაქციო კოლეგია: გრ. ახაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყ. მრეღლიშვილი, ი. სხარაშიძე, ნ. ფანაშვილი, შ. ცხადაძე.

Д И Д Азгшосоичий детекни журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 12, Декабрь 1961. Тбилиси. Листна 14. Детшшадат Грузии საბრტეპის რედაქციის მამამართი თბილისი ღუნის 14. მართ. ტვ. 3-37-88

გამომ. შვე. № 1299 ღობე ტირაჟი 15000 ღ სბზსი ტვეტი ანუბოლია დ. პ. ბერისას სასკოლის პოლიგრაფკომინატკო-მენიტის* სტამბანი კენადი გამუქლია ოცტისის სბტკის მამქანაზე გზარია ოცტეკა* სტამბანი; თბილისი, რუსთაველი ქობს. № 42